ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N51

2024 წელი; 29 მარტი; 13:30 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

არჩილ გორდულაძე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი)
ზურაბ აბაშიძე
ავთანდილ ცინცაძე
აკაკი ალადაშვილი
კახაბერ ლაბუჩიძე
დავით ფარცვანია
გიორგი ონიანი

მოწვეული პირები:

1. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;
2. ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
3. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ლევან მიქავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. მარიამ კვერნაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. ვასილ აბულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
7. ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
8. ნინო ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:
არჩილ გორდულაძე

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის წლიური ანგარიში - 2023 წლის 28 იანვრიდან 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ საკითხი;

3. ,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის № 33-89 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

7. „ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი II, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, N01.10.06.006.352 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3605 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის" (ს/ნ: 404438649), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

8. ,,ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში არსებული 37.39კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002.01.521) პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

9. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

10. „ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N13 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.013) და ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N38 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.038) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

11. „ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N15 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.17.10.008.153.02.01.015), ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N17 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.10.10.020.214.01.01.017) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N143 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.143) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

12. “ქ. თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N507 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.11.10.010.033.01.01.507) და ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.032) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

13. “ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N13 და N30 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.013; N01.14.05.008.154.01.01.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

14. „ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე N26 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.394.01.01.026) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში მდებარე N61 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.20.005.031.01.01.061) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

15. “ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N37 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.72.14.055.214.01.04.037) და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

16. „ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N11 და N88 ბინების (მშენებარე) (ს/კ: N01.12.12.001.414.01.01.011; N01.12.12.001.414.01.01.088) და ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.050) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „ქ. თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში მდებარე N3 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.18.06.018.104.01.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N81 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.14.05.008.154.01.01.081), ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქ. N30ბ-ში მდებარე N19 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.12.02.020.019.01.01.019) და ქ. თბილისში, ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N43 ბინის (მშენებარე) (ს/კ: N01.19.39.029.046.01.02.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ძოწის ქუჩა N2-4-ში, N01.14.01.008.092; N01.14.01.008.093; N01.14.01.008.096 და N01.14.01.008.097 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზოგიერთი (მშენებარე) ფართის პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. „2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

22. „ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: N01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ: 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

23. „ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.061.005) პირდაპირი განკარგვის წესით ვაჟა აბრამიშვილისთვის (პ/ნ: 01011025268) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დასაწყისში, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ/წლის 29 მარტის სხდომაზე განხილული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ლევან ჟორჟოლიანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, აგრეთვე იმსჯელებს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრის არჩილ გორდულაძის არჩევის შესახებ.

მოისმინეს:

1. თინათინ ნიბლოშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - პირველ საკითხად განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს (შემდეგში - საბჭო) საქმიანობის წლიური ანგარიში, რაც მოიცავს 2023 წლის 28 იანვრიდან 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდის მანძილზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მცირე ისტორიული ექსკურსით მიმოიხილა გენდერული თანასწორობის საბჭოს მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო, ხოლო, 2016 წელს შეიქმნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ამასთან, დამტკიცებულ იქნა აღნიშნული საბჭოს დებულება, ხოლო, 2022 წლის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისა და სათანადო ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებით, საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 27 წევრითა - 21 ქალი და 6 კაცი.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, მიმდინარე ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, რომელთა შორისაა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მზადება;
- საბჭოს სხდომები და საბჭოს სამუშაო შეხვედრები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა;
- საინფორმაციო კამპანია " შენი სიცოცხლე შენს ხელშია";
- კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი";
- გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია;
- ტრენინგები, პრეზენტაციები, საინფორმაციო და სხვა შეხვედრები;

- კონფერენციები, ფორუმები;
- კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობები

მომხსენებელის მითითებით, 2023 წელი საბჭოსთვის მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო. წლის დასაწყისში საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა დედაქალაქის გენდერული პოლიტიკის სამართლებრივი დოკუმენტები - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგია და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომლებიც 2023-2025 წლების საშუალოვადიან პერიოდზე გაიწერა, აღნიშნული დოკუმენტების დამტკიცებას წინ უძღოდა არაერთი კონსულტაცია/სამუშაო შეხვედრა - საბჭოს წევრების, სახელმწიფო თუ კერძო უწყებების წარმომადგენლებისა და დედაქალაქის რაიონულ გამგეობებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით.

გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი სიახლისა, თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, დაიწყო მუშაობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მოსამზადებლად, აქვე დასძინა, რომ მისი, როგორც საბჭოს თავმჯდომარის და დედაქალაქის მერის მრჩევლის გენდერული თანასწორობის საკითხებზე, საბჭოს წევრ ნინო ბურძენიძის ინიციატივით, სხვადასხვა დროს, გაიმართა სამუშაო შეხვედრები თბილისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლების, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროგრამის ანალიტიკოს ქეთევან შუბაშვილისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ეროვნული კონსულტანტის, გოგა ხატიაშვილის ჩართულობით, რომელთა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად, საანგარიშო წლის ბოლოს, მომზადდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოებში სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" დადგენილების პროექტი, რაც შემდგომში, განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ და დამტკიცებულ იქნა 2024 წლის 20 თებერვლის სხდომაზე N37-16 დადგენილების სახით.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საბჭოს მიერ ჩატარებულ იქნა როგორც საბჭოს სხდომები, ასევე, სამუშაო შეხვედრები, ამასთან, საერთაშორისო არაკომერციულ ორგანიზაციასთან „მერსი ქორფს" - ის წარმომადგენლობა საქართველოში - უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „მერსი ქორფს საქართველო", გაფორმებულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით, სააგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი:

ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა

საბჭოსა და სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის თანამშრომლობით, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ქალი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით არაერთი აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა, ამასთან, დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს ჩართულობით, სსიპ - „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის" ინიციატივით დაწყებული სოციალური პროექტის - „ჩვენი და ქვეყნის პროგრესისთვის - შეაგროვე ცოდნა" ფარგლებში, პენიტენციური დაწესებულების

ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად თბილისის საკრებულოს მიერ 400-მდე წიგნი შეგროვდა, აგრეთვე, მსჯავრდებულთა რეგილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობის პროცესში, ფსიქოლოგისა და ა(ა)იპ ქოუჩინგის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, სასწავლო-გამაჯანსაღებელი სისტემის ტრენერ ხათუნა მუზაშვილის ჩართულობით, გაიმართა სამოტივაციო შეხვედრა და მათთან, სასწავლო-გამაჯანსაღებელი, 10 (ათი) დღიანი სასწავლო-გამაჯანსაღებელი კურსი ჩატარდა, რომლის დასასრულს, მონაწილეებს კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ, გარდა მითითებული ღონისძიებებისა, მხატვრული ლიტერატურა „წიგნის სახლი"-ს დამაარსებლის, რამაზ ჯიქიას უზრუნველყოფით, ქალთა №5 პენიტენციური დაწესებულების მსჯავრდებულებს, მათი ინტერესების გათვალისწინებით საბჭოს სახელით წიგნები გადაეცათ, აგრეთვე, თბილისის საკრებულოში მოეწყო მსჯავრდებულების მიერ სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი ხელნაკეთი ნივთების: აქსესუარების, ნაქარგების, ჩანთების, სამკაულების და ნახატების გამოფენა.

საინფორმაციო კამპანია „შენი სიცოცხლე შენს ხელშია"

გაგრძელებულ იქნა, გასულ წელს დაწყებული საინფორმაციო კამპანია "შენი სიცოცხლე შენს ხელშია", რომლის მიზანი ქალთა ონკოლოგიური დაავადებებისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის (უფასო სამედიცინო გამოკვლევები) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იყო, კამპანია, საბჭოს ინიციატივით, პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველოსა" და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, სხვადასხვა აქტივობით მიმდინარეობდა, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ როგორც ქართულ, ასევე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე - ეთნიკური უმცირესობებისათვის ინფორმაციის მშობლიურ ენაზე მიწოდების მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თბილისის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს წევრებსა და სხვადასხვა თემის წარმომადგენლებთან, სადაც პაციენტთა ორგანიზაცია ,,ევროპა დონა საქართველოს" პრეზიდენტმა, ანა მაზანიშვილმა და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დირექტორმა, ეთერ კილურაძემ, დამსწრე საზოგადოებას პრეზენტაციები წარუდგინეს და ინფორმაცია მიაწოდეს ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციის, სწორი მართვისა და დაავადებათა სკრინინგის პროგრამის შესახებ. შეხვედრაზე საინფორმაციო ბროშურები დარიგდა, აღნიშნული მიზნობრიობით, შეხვედრა გაიმართა ასევე თბილისის 173-ე საჯარო სკოლის პედაგოგებთან.

კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი"

საბჭო ოქტომბრის თვეში არაერთი აქტივობით შეუერთდა ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო კამპანიას - „ვარდისფერი ოქტომბერი", პაციენტთა ორგანიზაცია „ევროპა დონა საქართველოსა" და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ჩართულობით, კამპანია დაიწყო ცოცხალი ჯაჭვით, რომელიც ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის მონუმენტის გარშემო შეიკრა, კამპანიის დასაწყისში თბილისის სატელევიზიო ანძა, სიმბოლურად, ვარდისფერ ფერში განათდა, რომელიც კამპანიის ოფიციალურ ფერს აღნიშნავს, აგრეთვე, თბილისის ლისის ტბის ტერიტორიაზე ,,ვარდისფერი მარათონი" გაიმართა, სადაც ფეხითა და ველოსიპედით გარბენი მოეწყო, აღნიშნულის

პარალელურად, დარიგდა საინფორმაციო ბროშურები დაავადებათა სკრინინგის პროგრამის, სკრინინგის ჩატარების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ, აგრეთვე, სხვადასხვა დროს მოეწყო საბჭოს წევრის, დედაქალაქის მერის მრჩევლის გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ნინო ბურძენიძის ინიციატივით - ონკოპაციენტებთან, ფსიქოლოგებსა და სამედიცინო სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, მათ შორის: ფსიქოლოგ ზურა მხეიძესა და ნათია ფანჯიკიძესთან, მორფოლოგ ნინო მუსერიძესა და მამოლოგ, ონკო-პლასტიკურ ქირურგ ირაკლი კოხრეიძესთან.

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანია

საბჭო ტრადიციულად შეუერთა გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას, რომელიც მსოფლიო მასშტაბით 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით აღინიშნება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, დაიბეჭდა საინფორმაციო ბროშურები ძალადობის მსხვერპლთა სახელმწიფო მომსახურებების - კრიზისული ცენტრებისა და თავშესაფრების სერვისების შესახებ, 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა „საქართველოს სტუდენტური პარლამენტის" ახალგაზრდა წევრებთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს ანა კაკაბაძესა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - თბილისის ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) და ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების კრიზისული ცენტრის მენეჯერთან, ანა რობაქიძეს შორის.

საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა საერთაშორისო ორგანიზაციის - „მერსი ქორფს" - ის წარმომადგენლობა საქართველოში - წარმომადგენლებს, შეხვედრაზე სტუმრებმა ახალი პროგრამის - „უსაფრთხო ონლაინი - ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში" პრეზენტაცია წარადგინეს, რაც მიმართულია ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობის (TFGBV) რისკების შემცირებაზე, ქალებისა და გოგონების დასაცავად. პროგრამის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობა დაიგეგმა.

კამპანიის დასასრულს, საბჭოს ინიციატივით, დედაქალაქის საკრებულოში გაიმართა კამპანიის შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც მონაწილეებმა წარადგინეს მოხსენებები, მათ, შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები, საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ქალთა მიმართ ძალადობის და/ან ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და მუნიციპალიტეტის როლი გენდერული ძალადობის პრევენციის და მსხვერპლთა გაძლიერების მიმართულებით;

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის სხდომაზე დასმწრე წევრებს ასევე გაუზიარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საბჭოს მონაწილეობით გამართული სხვადასხვა შეხვედრების, კონფერენციებისა თუ ფორუმების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ დადებით შეაფასა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ, საანგარიშო პერიოდის მანძილზე განხორციელებული საქმიანობა, ხაზი გაუსვა მოსახლეობისათვის აღნიშნული ღონისძიებების მნიშვნელოვან ხასიათს და წარმატებები უსურვა გენდერული თანაწორობის საბჭოს წევრებს სამომავლო საქმიანობაში.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა აქვე დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას/ფუნქციას განეკუთვნება საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება და წელიწადში ერთხელ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა[1], ამასთან, დაამატა, რომ მითითებულ ღონისძიებას ასევე არეგულირებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად (გარდა საკრებულოს უფრაქციო წევრის - გიორგი ონიანისა, რომელმაც პოზიცია - „წინააღმდეგია" დააფიქსირა") აღნიშნეს, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი პროცედურული წესის დაცვის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, უახლოეს სხდომაზე უნდა მოისმინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის 28 იანვრიდან 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდის მანძილზე განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

მოისმინეს:
2. ლევან მიქავამ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-2 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რაც, მისივე განმარტებით, მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით.

მომხსენებლის მითითებით, 2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 138,683.1 ათასი ლარი, ამასთან, ყურადღება გაამახვილა შემდეგი პროცენტული შესრულებების ოდენობებზე:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 786,689.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.8%;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლები ფაქტიურად შესულდა გეგმის 103.9%-ით;
- გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 920,297.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (884,569.6 ათასი ლარი) 104% არის;
- გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 443,206.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.2%-ია;
- სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 287,752.2 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა გეგმის 114%-ი;
- ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია გეგმის 112.6%;

[1] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის პირველი ნოემბრის N26-80 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მიხედვით.

- სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 23,059.7 ათასი ლარი - გეგმის 127.4%-ია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 100.8 ათასი ლარი - გეგმის 201.6%-ია;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 57,150.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.3%-ია;
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში შესრულდა 123.8%-ით;
- მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 4,751.9 ათასი ლარი;
- სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში შეადგინა გეგმის 110.5%;
- საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 4,038.4 ლარიდან გადარიცხულია 3,808.3 ათასი ლარი.

ლევან მიქავამ ისაუბრა აგრეთვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული შემდეგი პრიორიტეტების შესახებ:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - გეგმის 96.7%-ით;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - გეგმის 93.6%-ით;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - გეგმის 94.5%-ით;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - გეგმის 98.1%-ით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - გეგმის 99.1%-ით;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - გეგმის 96.9%-ით;
- განათლება - გეგმის 93.1%- ით;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - გეგმის 79.7%-ით;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - გეგმის 97.4%-ით;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 91.1%-ით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული/შესრულებული შემდეგი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება შესრულებულ იქნა - 95.6%-ით;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - შესრულებულ იქნა გეგმის 99.4%-ით;
- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია 2023 წლის გეგმა განხორციელებულ იქნა 90.1%-ით;
- ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება დაფინანსდა გეგმის 95.7%-ით;
- სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა - დაფინანსდა გეგმის 96.2%-ით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა დაფინანსდა გეგმის 87.8%-ით;

- კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 99.1%-ით;
- უკანონო ნაგებობების დემონტაჟი - შესრულდა გეგმის 46.6%-ით;
- გამწვანების ღონისძიებები - დაფინანსდა გეგმის 92%-ით;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 79.9%-ით;
- თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 2023 წლის გეგმა შესრულდა 94.9%-ით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 99.1%-ით;
- ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია გეგმის- 97.5%-ით;
- სოციალური დაცვა დაფინანსებულია გეგმიური მაჩვენებლის 93.8%-ით;
- უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია 25,927.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 25,938.5 ათასი ლარის 99.96%-ი) თბილისში ფუნქციონირებს 63 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება თვეში საშუალოდ 41932 ბენეფიციარს;
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გეგმის 89.7%-ით;
- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსებულია 8,474.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 8,489.0 ათასი ლარის 99.8%). საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია თბილისის ათ რაიონში მცხოვრებ სიით 2009 ოჯახს;
- სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია გეგმის 99.8%-ით;
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა -2023 წლის გეგმა დაფინანსდა - 1,644.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.9%-ია;
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება - დაფინანსდა გეგმის 100%-ით;
- ვორლდ ვიჟენ საქართველოს" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება - დაფინანსდა გეგმის 100%-ით;
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება - 2023 წლის გეგმა - 543.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 531.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია;
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება დაფინანსდა გეგმის 95.5%-ია;
- შინმოვლის თანადაფინანსება - დაფინანსდა გეგმის 97.6%-ით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა - დაფინანსდა გეგმის 97.4%-ია;
- სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია გეგმის 93.5%-ით;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია გეგმიური მაჩვენებლის 99%-ით;
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - დაფინანსდა გეგმის 92.9%-ით;
- იურიდიული კლინიკა - დაფინანსდა გეგმის 97.1%-ით;
- სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა -შესრულდა გეგმის 97.5%-ით;
- მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია გეგმის 91.7%-ით;

- თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა - შესრულდა გეგმის 99.2%-ით;
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა - 2023 წლის გეგმა - 4,130.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,001.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერიდან - 496.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 48.5%-ია;
- ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება -შესრულდა გეგმის 76.2%-ით;
- სპორტის განვითარების ხელშეწყობა - შესრულდა გეგმის 78.1%-ით;
- სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია - 2023 წლის გეგმა - 5,690.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,967.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,522.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 69.7%-ია;
- სპორტი უფროსი თაობისთვის - 2023 წლის გეგმა - 105.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 89.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.2%-ია;
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი - დაფინანსდა 100%-ით;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - დაფინანსდა გეგმის 89.8%-ით;
- ცხოველთა მონიტორინგი - შესრულდა გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ით;
- ქ. თბილისის საკრებულოსათვის - ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა გეგმის 97%;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა გეგმის 89%;
- სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო - ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 82.1%;
- სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახური - შესრულდა გეგმიური მაჩვენებლის 97.4% -ით;
- სსიპ - ქონების მართვის სააგენტო -შესრულდა გეგმიური მაჩვენებლის 96.7%-ით;

მოხსენების მიწურულს, ლევან მიქავამ დასძინა, რომ ზემოაღნიშნულ საინფორმაციო დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი დანართები ასახავს ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;
- 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების და სსიპ-ების სახაზინო ანგარიშებზე 2023 წელს მიღებული შემოსავლები და გაწეული გადასახდელები;
- ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებელი კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტების შესრულების შესახებ;
- 2023 წელს სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების შესრულების მაჩვენებლები.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ აღნიშნა, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 88–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განსაზღვრული ღონისძიება, რაც ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს ვალდებულებას - საჯაროდ განიხილოს ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და არაუგვიანეს 1 მაისისა მიიღოს გადაწყვეტილება წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დაამატა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 73–ე მუხლის მე–2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი პროცედურული წესის შესაბამისად, თბილისის მერი თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს, ხოლო, მუნიციპალიტეტი საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში, უფლებამოსილია მოისმინოს და შეაფასოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, ამავე კოდექსის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

არჩილ გორდულაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით უნდა დაერთოს საკითხთან დაკავშირებით, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნას, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის წევრების (უფრაქციო წევრების- გიორგი ონიანისა და დავით ფარცვანიას გარდა) მიერ.

გადაწყვიტეს:
საკითხთან/განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია“ დააფიქსირა უფრაქციო წევრმა გიორგი ონიანმა, ხოლო, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა უფრაქციო დეპუტატმა დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და არჩილ გორდულაძის მოსაზრების/წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
3. გაიოზ თალაკვაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი, რითაც, მისივე განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ცვლილების პროექტი, მათ შორის ითვალისწინებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლების 100%-ით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვის საკითხს, აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა შემოსავლების ნაწილში მცირდება სამხედრო

სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლები - 50,0 ათასი ლარით, ხოლო იზრდება პროცენტები - 4 050,0 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 4 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 008 389,6 ათას ლარს.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები, ხოლო, აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებების ნაწილდება შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი ქვეპროგრამების ასიგნებები:

- ✓ გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში - 200,0 ათასი ლარით;
- ✓ სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები - 600,0 ათასი ლარით;
- ✓ უკანონო ნაგებობების დემონტაჟი– 300,0 ათასი ლარით;
- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში – 2 500,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში – 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში– 1000,0 ათასი ლარით;
- ✓ დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში– 550,0 ათასი ლარით;
- ✓ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა– 450,0 ათასი ლარით;
- ✓ იურიდიული კლინიკ– 14,5 ათასი ლარით;
- ✓ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი– 44,1 ათასი ლარით;
- ✓ საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"– 24,8 ათასი ლარით;
- ✓ ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა– 53,1 ათასი ლარით;
- ✓ კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა - 2 475,3 ათასი ლარით;
- ✓ სპორტული ღონისძიებები– 2 995,0 ათასი ლარით;
- ✓ ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა– 485,5 ათასი ლარით;
- ✓ საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა - 60,0 ათასი ლარით;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 300,0 ათასი ლარით.

მომხსენებელმა თხრობა განაგრძო და ისაუბრა ასევე იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, რომელთა ასიგნებების შემცირება გათვალისწინებული წარმოდგენილი პროექტით, შემდეგი სახით:

- ✓ ქალაქის განვითარების ხელშეწყობა - 5 500,0 ათასი ლარით;
- ✓ კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები - 13,1 ათასი ლარით;
- ✓ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა – 2995,0 ათასი ლარით;
- ✓ შემოქმედებითი თბილისი– 44,1 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ ასევე დასძინა, რომ ზუსტდება ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამასა და ქვეპროგრამებში: საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდის" მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა - 2 ერთეულით, „ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა" ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონის" მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა -1 ერთეულით, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა - 1 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4878 ერთეულით.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 808 354,7ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 200 034,9 ათასი ლარით, ამასთან, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 738 254,7 ათასი ლარის ოდენობით, ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 2 008 389,6 ათასი ლარით, აგრეთვე, ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (35 038,9) ათას ლარს, ხოლო, ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (165 096,0) ათასი ლარით, ასევე, დაამატა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ხოლო, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს უფრაქციო დეპუტატებმა დავით ფარცვანიამ და გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
4. ვასილ აბულაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-3 საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნულ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებას, შემდეგ გარემოებათა გამო:

✓ ხშირია შემთხვევები, როდესაც ნებართვის მფლობელების მექანიკური შეცდომების გამო მათ მიერ მომხმარებლის პირად სივრცეში ირიცხება ნებართვის გაცემის ფასი უფრო მეტი რაოდენობით ვიდრე სურდათ, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ნებართვის მფლობელებს დაუბრუნდეთ მათ მიერ ზედმეტად გადახდილი თანხები.

✓ უკანასკნელ ხანს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც „A" კატეგორიის ნებართვის მფლობელები, რომლებიც აკმაყოფილებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით დამტკიცებული წესის მოთხოვნებს, გადაადგილდებიან სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში არა მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანით მომსახურების გაწევისას მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით, არამედ აღნიშნულ ზოლებს იყენებენ პირადი მიზნებისთვის სატრანსპორტო საშუალების უფრო სწრაფად გადაადგილების მიზნით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილებები:

✓ „A" კატეგორიის ტაქსის ნებართვის მფლობელის მომხმარებლის პირად სივრცეში ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნებართვის მფლობელს უფიქსირდება ნებართვის გაცემის ფასის როგორც წინა თვის, ისე მიმდინარე დავალიანება. ამასთან, „A" კატეგორიის ნებართვის გაუქმებისას, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება მომხმარებლის პირად სივრცეში არსებული თანხა;

✓ თუ ნებართვის გამცემის მიერ, დადგენილებით დამტკიცებული წესის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, განხორციელებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სატრანსპორტო საშუალების სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში მოძრაობის მიზნობრიობა არ შეესაბამება მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის საქმიანობას, ასეთ შემთხვევაში „A" კატეგორიის ნებართვიდან სატრანსპორტო საშუალება იხსნება ფაქტის გამოვლენიდან ერთი წლის ვადით. ამასთან, ამ პერიოდში, დაუშვებელია ამავე სატრანსპორტო საშუალების დამატება ნებისმიერ სხვა „A" კატეგორიის ნებართვაზე, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისა;

✓ ნებართვის გამცემი ხდება უფლებამოსილი შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით გამოიკვლიოს და დაადგინოს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში კონკრეტული „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) (რომელსაც ამ წესით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უფლება აქვს იმოძრაოს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში) მოძრაობის მიზნობრიობის შესაბამისობა მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის საქმიანობასთან;

✓ A" კატეგორიის ნებართვის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი ხდება - ნებართვის მფლობელის მოთხოვნა, როდესაც ნებართვის მფლობელს არ აქვს ნებართვის გაცემის ფასის დავალიანება;

მოხსენების მიწურულს, ვასილ აბულაძემ მიუთითა, რომ პროექტის ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, ხოლო, ამოქმედების თარიღად განისაზღვრა პროექტის გამოქვეყნების დღე.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ვასილ აბულაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-5 საკითხად განსაზღვრული, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლის მომზადება, მისივე განმარტებით, განპირობებულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის შესაბამისი ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის შედგენილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრებით განსაზღვრული ჯარიმების თანხებისა და დარიცხული საურავების თანხების გადახდის კონტროლის საქმეში, ბოლო პერიოდში, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა ან/და საურავი საბანკო დაწესებულების ან ელექტრონული გადახდის საშუალების მეშვეობით გადახდილია ისე, რომ მითითებული არ არის ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, თუმცა, სწორად არის მითითებული სახაზინო კოდის ნომერი და სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

✓ იმის გათვალისწინებით, რომ გადახდისას არ იყო მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრების ნომრები, ვერ აისახა გადახდები და ადმინისტრაციული სამართალდამრღვევების საქმეებზე გამოიცა საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებები, ხოლო საქმეები აღსასრულებლად გადაგზავნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროში;

როგორც ვასილ აბულაძემ აღნიშნა, მიმდინარე დროისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ფიქსირდება მოქალაქეთა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული/მსგავსი შინაარსის ასეულობით წერილი, ხოლო, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ - აღსრულების ეროვნულ ბიუროს, სსიპ- საქართველოს ოპერატიულ - ტექნიკურ სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს შორის შედგა არაერთი კომუნიკაცია ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, შემდეგი საკითხის დარეგულირება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან წარმოდგენა:

✓ პირებს, რომელთა მიმართაც 2023 წლის პირველი ივლისიდან ამ განკარგულების გამოცემამდე შედგენილია ელექტრონული საჯარიმო ქვითრები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის და ამ

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული ჯარიმა ან/და ჯარიმის გადაუხდელობის გამო დარიცხული საურავი გადახდილი აქვთ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის სახაზინო კოდზე (300773255), ამასთან, ფიქსირდება სამართალდამრღვევის მონაცემები (სახელი, გვარი და პირადი ნომერი), თუმცა არ აქვთ მითითებული ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი, ჩაეთვალოთ გადახდილად და მათ მიმართ აღარ განხორციელდეს/აღარ გაგრძელდეს გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

ვასილ აბულაძემ აღნიშნა, რომ გარდა ზემომითითებულისა, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაევალება:

ა) განკარგულების 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გადახდების ჩათვლისათვის განახორციელოს საჭირო ღონისძიებები;

ბ) გასაჩივრებული საქმეების განხილვისას, გაითვალისწინოს (ჩათვალოს) განკარგულების 1-ელი პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე გადახდილი თანხები.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა სამართლებრივი საფუძვლებიდან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „ე.თ“ ქვეპუნქტის ამოღების მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ოთარ ჩიტიძემ და ნინო ჯაფარიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნეს, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-6 საკითხად განსაზღვრული, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესებში (შემდგომში - წესები) ცვლილების შეტანის თაობაზე მ/წლის 20 და 22 მარტს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი 2 (ორი) დადგენილების პროექტი.

მოხსენება დაიწყო ოთარ ჩიტიძემ, მ/წლის 20 მარტს წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წესების პირველ მუხლში განსახორციელებელი ცვლილებით, წესების მოქმედება ასევე გავრცელდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებსა და ძეგლის ტერიტორიებზე, რაც უზრუნველყოფს მათი შეუსაბამო განვითარების პრევენციას, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების რეგულირების გზით. მისივე

მითითებით, აღნიშნული გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძეგლის ტერიტორიებზე დაგეგმილი ახალი მშენებლობებისა და ძეგლის იმგვარი ადაპტაციის დროს, როდესაც ხდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის დიდი ნაწილის დაშლა და ხელახლა, განსხვავებული (არა-ავთენტური) სახით აშენება, შედეგად, ძეგლებსა და მათ ტერიტორიაზე ამგვარი ჩარევების დროს, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებთან ერთად სავალდებულო იქნება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით განსაზღვრული წესების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს ჩარევების კონკრეტული ფუნქციური ზონით განსაზღვრულ პარამეტრებთან თავსებადობას.

ოთარ ჩიტიძის განმარტებით, პროექტი, პირველ მუხლში განსახორციელებელი ცვლილები, ასევე ადგენს, რომ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლებსა და ძეგლების ტერიტორიაზე არ გავრცელდება წესების გარკვეული მუხლები, რომლებითაც მათ, შორის რეგულირდება განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების პრინციპები და შემადგენლობა, შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიებები, განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრები, სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები, აგრეთვე, მაკომპენსირებელი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით წესებით განსაზღვრული ღონისძიებები.

თხრობა განაგრძო ნინო ჯაფარიძემ და დასძინა, რომ პროექტი ასევე ითვალისწინებს:

✓ მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი – კ-1 დაანგარიშების წესთან დაკავშირებით ცვლილებას, კერძოდ, ცვლილებით, გადახურული ან/და შენობაში მოქცეული სამანქანე პანდუსი ჩათვლილ იქნება კ-1 კოეფიციენტის ანგარიშში;

✓ საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ში გაიზარდა შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 16 მეტრამდე და დაზუსტდა შენობა-ნაგებობის სართულიანობის მაქსიმალური რაოდენობა, გარდა ამისა, საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) შენიშვნის გრაფაში დაემატა ჩანაწერი, რომლის მიხედვით მიწის ნაკვეთის პარამეტრები გამკაცრდა იმ შენობა-ნაგებობებისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%;

✓ წესების 16 მუხლში მითითებული ყველა ქვეზონისათვის შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვრა შენობის საანგარიშო ზედაპირის საპროექტო გრუნტის ზედაპირთან შეხების ხაზიდან.

დადგენილების პროექტით განსაზღვრულ სხვა ცვლილებებთან დაკავშირებით კვლავ ისაუბრა ოთარ ჩიტიძემ და ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

✓ მიჯნის ზონაში შენობის დამამთავრებელ სართულზე (გადახურვაზე) დასაშვები ხდება ტერასის მოწყობა, რაც მიზნად ისახავს შენობების მხატვრული იერსახის დახვეწას და სამომავლოდ, უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პრევენციას;

✓ ერთ მიწის ნაკვეთზე ერთზე მეტი სხვადასხვა ფუნქციური ზონის არსებობისას უფრო მაღალი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის მქონე ზონის (სსზ-2, სსზ-1, სზ-6 და სზ-5) ნაწილში განსათავსებელი საპროექტო შენობა-ნაგებობის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართის განსაზღვრისას დასაშვები ხდება დამატებით გამოყენებულ იქნეს უფრო დაბალი განაშენიანების რეგულირების

პარამეტრების მქონე ზონის (სზ-3, სზ-5, სზ-6 და სსზ-1) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართი, აღნიშნული წესი არ ვრცელდება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებზე;

✓ **იცვლება წესების 31-ე მუხლის მე-4 და მე-4[1] პუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო პირობის გამოყენების წესი,** კერძოდ, ზუსტდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე/ტერასაზე მოწყობილი სამყოფის/სათავსის განთავსებისთვის საანგარიშო ზედაპირი (იგივე დაზუსტდა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში), მითითებული პუნქტებით გათვალისწინებული საგამონაკლისო პირობა არ გავრცელდება საცხოვრებელ ზონა 3 (სზ-3)-ზე, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, L–ის განსაზღვრისას მხედველობაში იქნება მიღებული შენობის საანგარიშო ზედაპირზე, 1,4 მეტრამდე მოწყობილ აივნები, თუ მისი/მათი სიგანე არ აღემატება იმ სართულის ფასადის სიგანის 1/2-ს, რომელზეც აღნიშნული აივნები არის განთავსებული;

✓ **ცვლილება შედის დანართი 1-ით გათვალისწინებულ ქალაქთმშენებლობითი ზონების ტერიტორიების გამოყენების დაშვებული სახეობების ჩამონათვალში: ამოღებულ იქნა „სავაჭრო ცენტრი“,** ამასთან, აღნიშნული დანართის სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებიდან **ამოღებულ იქნა „დასასვენებელი სახლი“ და „სასტუმრო“;**

✓ აგრეთვე განისაზღვრა შესაბამისი პუნქტების ამოქმედების საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი საკითხები.

მოხსენების შემდგომ ნაწილში, ოთარ ჩიტიძემ ყურადღება გაამახვილა მ/წლის 22 მარტს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრულ ღონისძიებებზე და მიუთითა შემდეგი:

▪ **წესებს ემატება 16[3] მუხლი,** რომელიც შეეხება ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენებას, აღნიშნულის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის ფუნქციური ზონები, რომლებზეც გავრცელდება მითითებული ახალი მუხლის მოქმედება, ასევე **განისაზღვრება, რომ** „მიწის ნაკვეთზე საშუალო და მაღალი ინტენსივობის ფუნქციური ზონის დადგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილება (მათ შორის, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესაბამისად) შესაძლებელია განხორციელდეს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ამ მუხლით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით“, აგრეთვე, დგინდება, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, ფასის გადახდა უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდგომ, არაუმეტეს 3 თვის განმავლობაში;

▪ **პროექტით წარმოდგენილი 16[3] მუხლის მე-11 პუნქტით, გამონაკლისის სახით დგინება ის მიწის ნაკვეთები, რომლებზეც არ გავრცელდება აღნიშნული მუხლით დადგენილი რეგულაციები:**

ა) იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ხდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019

წლის 15 მარტის N39-18 დადგენილების ამოქმედებამდე არსებული ფუნქციური ზონის დაბრუნება;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე;

გ) კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა დაკმაყოფილების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ/გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე;

დ) იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია ობიექტი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიჩნევა დაუმთავრებელ მშენებლობად;

ე) იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია/განსათავსდება ობიექტი, სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართობიდან არანაკლებ 50% გამოყენებული იქნება იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის და აღნიშნული დადასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკმაყოფილებისთვის არსებული პროექტის გაუქმების შემთხვევაში, სამინისტროს წერილობითი დადასტურების საფუძველზე, ნებართვის გამცემ ადმინისტრაციული ორგანოს/სტრუქტურულ ერთეულს უფლება აქვს გააუქმოს საპროექტო ობიექტებზე გაცემული სამშენებლო/გემარებითი ნებართვა/ნებართვები;

ვ) იმ მიწის ნაკვეთზე, სადაც განთავსებულია ობიექტი, რომელიც ამ წესების 39[1] მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის შესაბამისად, ექვემდებარება ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობით ჩანაცვლებას;

ზ) საქართველოს პარლამენტის, სასამართლოს, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებლი ორგანოების, მუნიციპალიტეტის ან ამ ორგანოთა მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებაში/მმართველობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, თუ ეს მიწა გამოიყენება ამავე ორგანოთა უფლებამოსილების განხორციელების საჭიროებისათვის.

მოხსენების მიწურულს, ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ დადგენილებების პროექტების მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე, ასევე, არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ ისაუბრა დადგენილებების პროექტების მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე და აღნიშნა, რომ **მიზანშეწონილია,** მ/წლის 22 მარტს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მე-16[3] მუხლის (ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთებზე, მიუხედავად მესაკუთრის ცვლილებისა, ფუნქციური ზონის ცვლილებისას გადასახდელი ფასი განისაზღვროს მიწის ნაკვეთის პრივატიზების დროს არსებული ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებისა და მოთხოვნილი ფუნქციური ზონის საბაზრო ღირებულებას შორის არსებული სხვაობის 100%-ის ოდენობით."

არჩილ გორდულაძემ ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი დადგენილებების პროექტები გაერთიანდეს და ამგვარი სახით იქნას განხილული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

არჩილ გორდულაძის რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა როგორც კომისიის წევრების მიერ (უფრაქციო დეპუტატების - დავით ფარცვანიას და გიორგი ონიანის გარდა), ასევე, საკითხის წარმომდგენების მიერ.

მომხსენებლებმა წინადადებით მიმართეს კომისიას მ/წლის 22 მარტს წარმოდგენილი პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მე-16³ მუხლის (ფუნქციური ზონის ცვლილებისას მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენება) მე-11 პუნქტიდან „თ" ქვეპუნქტის ამოღებასთან დაკავშირებით, რაც გაზიარებულ იქნა კომისიის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს უფრაქციო დეპუტატებმა - დავით ფარცვანიამ და გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და არჩილ გორდულაძის რეკომენდაციების, ასევე, მომხსენებლების წინადადების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-7 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, მე-2 მ/რ, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, 3605 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტისათვის" კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და მათთან დასადები ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, პროექტი მომზადებულია კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით, ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის მიზანით, მათ

მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს მიაწოდა პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.tbilisi.gov.ge) საშუალებით, 2023 წლის 30 ოქტომბრიდან - 2023 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში, რომლის მიზანს წარმოადგენდა გამარჯვებული პირის მიერ, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომის დასახლება, II მ/რ, კორპუსი N27ა-ს მიმდებარედ, 3605 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის პრივატიზება, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ, სადაც, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრა არაუმეტეს 2.8-ით და გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 1050 კვ. მ., 2 მონაწილე სუბიექტს შორის, უპირატესი წინადადებით - 1950 კვ.მ ოდენობის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) გადასაცემი სამშენებლო ფართის შეთავაზებით, გაიმარჯვა შპს „სამშენებლო კომპანია აპექს დეველოპმენტმა";

✓ პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა კოოპერატივის 25 (ოცდახუთი) წევრის დაკმაყოფილებას.

✓ პროექტში პირთა ნაწილი შერჩეულ იქნა სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით, ხოლო იმ პირთა შორის, ვისაც არ აქვს წარდგენილი სარეიტინგო ქულა, მაგრამ წარდგენილი ჰქონდა სხვა ყველა საჭირო დოკუმენტი, უპირატესობა მიენიჭა ტერიტორიულობის პრინციპით ყველაზე ახლოს მყოფს კოოპერატივის წევრებს, ასევე გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი სრული დოკუმენტაციის მქონე კოოპერატივის წევრები;

✓ გათვალისწინებულ პირთათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) ოდენობა განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, თითოეულ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანების მდგომარეობის შესწავლისას შედგენილი აქტების საფუძველზე, ხოლო მათთვის გადასაცემი მიწის ნაკვეთის ფართობი განსაზღვრულია გადასაცემი საცხოვრებელი ფართების პროპორციულად;

✓ კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ

სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ პროექტით გათვალისწინებული ფართები;

✓ პროექტი ითვალისწინებს, შესაბამისი დანართის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული N629 ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის: ლილი ქიტიაშვილის მიერ, განსაზღვრული მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის/თეთრი კარკასის მდგომარეობით საცხოვრებელი ბინის პრივატიზების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ (უსასყიდლოდ დათმობას), თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 იანვრის (მოსარჩელე - ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ფეიქარი-629") კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შესაბამისად საკუთრებაში მიღებულ ფართზე, მდებარე: ქ. თბილისში, შალვა ჯაფარიძის შესახვევი N3;

მოხსენების დასკვნით ნაწილში, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთის განკარგვა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნობრიობით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) განსაზღვრული ოდენობით სამშენებლო განვითარებით, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა პროექტით წარმოდგენილი საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-8 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა N76, 37, 39 კვ.მ. ფართის ხანგრძლივი დროის მანძილზე, თვითნებურად მცხოვრები მოქალაქე მოქალაქე ფარნაოზ მოწონელიძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსნებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით, მითითებულმა დაინტერესებულმა პირმა,

შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართა ვაკის რაიონის გამგეობას, ხოლო, საკითხის შესწავლის შემდგომ, გამგეობის მოკვლევით გამოვლინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს მიერ გაცემული ინფორმაციით, ფარნაოზ მოწონელიძე დაახლოებით 30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებენ შესაბამისი მოქალაქეები სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ბაზის მიხედვით, ფარნაოზ მოწონელიძე და მისი ოჯახის წევრები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან, გარდა აღნიშნულისა ასევე, მოძიებულ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია.

✓ ფარნაოზ მოწონელიძის ოჯახის წევრები თანხმობას აცხადებენ აღნიშნული პირის მიერ საცხოვრებელი ფართის პრივატიზებასთან დაკავშირებით;

✓ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ თბილისის საქალაქი სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ 2017 წლის 11 აპრილს მიღებულია გადაწყვეტილება, რის თანახმადაც, მოქალაქეთა სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა (მათ მიერ დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხის თაობაზე), კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებები და აღნიშნულ უწყებას დაევალა, კანონით დადგენილ ვადაში საქმის (პრივატიზების საკითხი) არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლის გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გამოეცა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუმცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის წერილით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეთხოვა მოქალაქეთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა, რაც დაკმაყოფილებულ იქნა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა 11 (თერთმეტი) ერთეული უძრავი ქონება, შემდგომში ამ პირებისთვის, მათ, შორის ფარნაოზ მოწონელიძისთვის პრივატიზების მიზნით.

ირაკლი თავართქილაძემ შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული

რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-9 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გლდანის დასახლება, პირველი მ/რ, კორპუს N2ბ-ში არსებული ფართების (საერთო ჯამში 66.31 კვ.მ), თვითნებურად, ხანგრძლივი დროის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- ✓ თინათინ მაჩაბელს გადაეცემა 17.08 კვ.მ; ლევან გიორგაძეს გადაეცემა - 17.91 კვ.მ ნინო სისაურს გადაეცემა - 14.18 კვ.მ; ნანა სამხარაძეს გადაეცემა 17.14 კვ.მ;

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, აღნიშნულმა მოქალაქეებმა დაკავებული ფართების პრივატიზებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თხოვნით მიმართეს გლდანის რაიონის გამგეობას, ხოლო, აღნიშნული უწყების მიერ საკითხის შესწავლისას, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამმართველოს ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები დაახლოებით 1993-2012 წლებიდან ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა ასევე დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შემოწმების აქტებით და მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით;

✓ აღნიშნული პირები სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დევნილთა მონაცემის ბაზის მიხედვით დევნილად რეგისტრირებული არ არიან;

✓ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მათ სახელებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

მომხსენებელმა შემაჯამებლად აღნიშნა, რომ გამგეობის შუამდგომლობისა და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
10. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-10 საკითხად **განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს,** მოქალაქეების **ლევან ჩირგაძისა და ნინო ჩირგაძისთვის** ქალაქ თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N13 ბინის და ქ. თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N38 ბინის თანასაკუთრებაში, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, **რომ** სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილობით მიმართა ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს და შესთავაზა მათ თანასაკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში რეგისტრირებული 87 კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, სათანადო ვადაში, დათმობის სანაცვლოდ - ქალაქ თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში რეგისტრირებული N13 ბინის და ქ. თბილისში, სოფელ დიღომში რეგისტრირებული N38 ბინის სიმბოლურ ფასად პრივატიზება, რაზეც აღნიშნულმა თანამესაკუთრეებმა თანხმობა განაცხადეს.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე დაუსრულებელი მშენებლობა წლების მანძილზე მოუგვარებელ პრობლემად გარდაიქმნა ამ მშენებლობით დაინტერესებული პირებისთვის, აღნიშნულ მისამართზე გათვალისწინებული იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, კომპანია შპს „ამირანი"-ს მიერ, თუმცა, სამშენებლო პროცესების გაჭიანურების გამო, ხელშეკრულებები მოიშალა და მშენებარე ობიექტი დარჩა დაუსრულებელ მდგომარეობაში, ხოლო, დღეისათვის ობიექტში რეგისტრირებულია როგორც ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული ფართები, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის და შპს „ამირანის" საკუთრებად რეგისტრირებული ფართები.

მომხსენებლისვე მითითებით, **დაინტერესებულ** პირთა ინტერესების **გათვალისწინებით, სასურველი** იყო **აღნიშნული** მშენებლობის **დასრულება, თუმცა, მიმდებარე ტერიტორიის ინტენსიური/მჭიდრო** განაშენიანების **გათვალისწინებით, საპროექტო ობიექტი ჩაითვალა არაოპტიმალურ სამშენებლო ობიექტად,** აღნიშნული **გარემოებების** გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაძლებლობის ფარგლებში, დაინტერესებული პირებისთვის მოხდა ალტერნატიული ფართების შეთავაზება, ხოლო, ამგვარ ფართებად განიხილება კერძო სამშენებლო კომპანიების მიერ აშენებულ/მშენებარე ობიექტებში მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირებული ფართები, რომლებიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში მიღებული აქვს სამშენებლო კომპანიებისგან, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების გამო მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების სანაცვლოდ.

ირაკლი თავართქილაძის **განმარტებით,** საკითხის განხილვისას, მხედველობაში მიღებულია დაინტერესებული პირის მიერ რეგისტრირებული და მის სანაცვლოდ გადასაცემი ფართების საბაზრო ღირებულებები, ერთნაირი მახასიათებლების მქონე

ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, ამ პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, რომელიც 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, მთლიანი ფართის ღირებულება - 339561 (სამას ოცდაცხრამეტი ათას ხუთას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით; ხოლო, 2023 წლის 10 ივნისის დასკვნის თანახმად, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ასეთივე დაშვებებით, შეფასდა ის ფართებიც, რომლებიც განიხილება აღნიშნულ პირთათვის სანაცვლოდ გადასაცემად, შემდეგი სახით:

- ✓ პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N13 ბინის ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 182987 (ას ოთხმოცდაორი ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით და ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე N38 ბინის ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 151372 (ას ორმოცდათერთმეტი ათას სამას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 334359 ლარი).

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ზემომითითებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, მოქალაქეების - ლევან ჩირგაძისა და ნინო ჩირგაძისთვის, თანასაკუთრებაში გადაცემა, შემდეგი საპრივატიზებო პირობით: ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქუჩა N5ბ-ში რეგისტრირებული 87 კვ.მ ფართზე მათი საკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის მიზანშეწონილობის საკითხზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
11. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-11 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით ითვალისწინებს, დღის წესრიგის მე-10 საკითხის იდენტურ ღონისძიებას, შემდეგი სახით:

✓ პროექტით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი სამი უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქ. N8-ში მდებარე N15 ბინა– 59.30 კვ.მ ფართით, ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში მდებარე N17 ბინის - 98.60 კვ.მ ფართით და ქ. თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N143 ბინის– 76.60 კვ.მ ფართით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარად გადაეცემა, მოქალაქე ავთანდილ სილაგაძეს, საკითხი შესათანხმებლად წარმოდგენილია საკრებულოსთან და ითვალისწინებს შემდეგ საპრივატიზებო პირობებს:

✓ ზემოაღნიშნული ფართების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენის მხრიდან უნდა განხორციელდეს მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქუჩა N5, კორპუსი „ბ" მეორე და მესამე ბლოკი, მე-3 სართულზე მდებარე N29 ბინა, 139.20 კვ.მ. ფართის საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ დათმობა, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში დაარეგისტიროს უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა რომ ზემოაღნიშნულმა დაინტერესებულმა პირმა თანხმობა განაცხადა მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში არსებულ დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის მუნიციპალიტეტისათვის დათმობის სანაცვლოდ, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების საკითხზე, ამასთან, დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის მდგომარეობით არსებობის დაშვებით, როგორც მშენებარე კორპუსში, ასევე დასრულებულ კორპუსში, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ხოლო, 2023 წლის 10 ივნისის დასკვნის თანახმად, დასრულებულ კორპუსში, თეთრი კარკასის მდგომარეობით, შეფასებულ იქნა მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული საცხოვრებელი ფართები, შემდეგი სახით:

✓ ქ. თბილისში, პეტრე ხვედელიძის ქუჩა N8-ში რეგისტრირებული N15 ბინის – 1 კვ.მ - 2349 ლარის ოდენობით;

✓ ქ. თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქ. I შესახვევი N2/ ვალენტინ თოფურიძის ქ. N15-ში რეგისტრირებული N17 ბინის– 1 კვ.მ - 2166 ლარის ოდენობით;

✓ ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში რეგისტრირებული N143 ბინის– 1 კვ.მ 2480 ლარის ოდენობით.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქის საკუთრებაში არსებული ფართის საშუალო საბაზრო ღირებულება თეთრი კარკასის მდგომარეობით არსებობის დაშვებით, როგორც მშენებარე კორპუსში, ასევე - დასრულებულ კორპუსში შეადგენს შემდეგს - 543,297.6 ათასი ლარი, ხოლო, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამივე საცხოვრებელი ფართის ღირებულება, დასრულებულ კორპუსში, თეთრი კარკასის მდგომარეობით, ჯამური ოდენობით, შეადგენს შემდეგს - 542,831.3 ათასი ლარს, მოქალაქე ავთანდილ სილაგაძეს ფართებს შორის არსებულ სხვაობაზე არ გააჩნია არანაირი პრეტენზია, ასევე, დასძინა, რომ საკითხი

მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საკითხის მოწონების თაობაზე მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მითითება, ასევე ისაუბრა სტილისტური ხასიათის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
12. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-12 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რომელიც ასევე ითვალისწინებს მე-10 და მე-11 საკითხების იდენტურ სამართლებრივ ღონისძიებებს, შემდეგი სახით:

✓ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქ. N102-ში მდებარე N507 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე N32 ბინის (მშენებარე) მოქალაქეებისათვის: როინ მეტრეველისა და ლუიზა მეტრეველისთვის თანასაკუთრებაში გადაცემას, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, იმ საპრივატიზებო პირობით, რომ თანასაკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობაში რეგისტრირებულ 105.6 კვ.მ. ფართს მუნიციპალიტეტს დაუთმობენ უსასყიდლოდ, აგრეთვე უზრუნველყოფენ, საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მითითებულმა მოქალაქეებმა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი განცხადებებით, გამოთქვეს თანხმობა ზემოაღნიშნული ფართების მიღებაზე, ასევე, ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემდეგ შეფასებებზე:

✓ 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ჯამურად - 412 156.8 (ოთხას თორმეტი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით;

✓ 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, იდენტური დაშვებით 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, რეგისტრირებული ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 226 155 (ორას ოცდაექვსი ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარის და 175 079 (ას სამოცდათხუთმეტი ათას სამოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 401 234 ლარი).

ირაკლი თავართქილაძემ მოხსენების დასკვნით ნაწილში აღნიშნა, რომ პროექტი მოწონებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
13. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-13 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-12 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას შემდეგი ღონისძიების:

✓ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N2ბ-ში მდებარე 55.20 კვ.მ. ბინა N13-ის, ფართის და 55.20 კვ.მ. ფართის მქონე ბინა N30-ის მოქალაქე ნინელი ჭანკვეტაძისთვის პირდაპირი განკარგვის გადაცემაზე, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის იმ პირობით, რომ აღნიშნული მოქალაქე, მის საკუთრებაში, დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობაში არსებულ, ქალაქ თბილისში ყიფშიძის ქ. N5, კორპუს „ბ“, II და III ბლოკი, მე-2 სართულზე მდებარე 105.6 კვ.მ ბინა N48-ს უსასყიდლოდ გადასცემს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, მოქალაქე ნინელი ჭანკვეტაძემ თანხმობა განაცხადა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ზემოაღნიშნული ფართების მიღებაზე, ამასთან, მომხსენებელმა მიუთითა, რომ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც:

✓ 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონების 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის

მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ხოლო, მთლიანი ბინის ღირებულება 412 156.8 (ოთხას თორმეტი ათას ას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ოდენობით;

✓ 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, იდენტური დაშვებებით დაშვებებით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები 55.2 და 55.2 ფართების (თითოეულის) საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 187 294 (ას ოთხმოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 374 588 ლარი).

ირაკლი თავართქილაძემ მოხსენების დასკვნით ნაწილში აღნიშნა, რომ პროექტი მოწონებულია ქალაქ ობილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-14 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-13 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას შემდეგი ღონისძიების:

✓ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N12-ში მდებარე 88.20 კვ.მ. N26 ბინის (მშენებარე) და ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივში, ზემო პლატო N19ა-ში 70.30 კვ.მ. N61 ბინის (მშენებარე) მოქალაქე მანანა თოდაძისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას, იმ პირობით, რომ აღნიშნული პირი, მითითებული ფართების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობს საკუთრების უფლებას მის საკუთრებაში, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობაში ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ“, II და III ბლოკი, მე-5 სართულზე მდებარე 105 კვ.მ ფართობის ბინა N34-ზე და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასებებზე, რომელთა მიხედვითაც, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი ფართები და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასდა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც

დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, შემდეგი სახით:

✓ 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში (ს/კ: N01.14.14.003.143) მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, თეთრი კარკასის კონდიციით, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის (მთლიანად 409815 (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) ლარის ოდენობით ოდენობით);

✓ 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა 253222 (ორას ორმოცდაცამეტი ათას ორას ოცდაორი) და 154168 (ას ორმოცდათოთხმეტი ათას ას სამოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 407390 ლარი).

მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ მოქალაქე მანანა თოდაძემ თანხმობა განაცხადა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ზემოაღნიშნული ფართების მიღებაზე, მის ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა განკარგულების სამართლებრივ დასაბუთებაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის დამატების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
15. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-14 საკითხებისა და ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას შემდეგი ღონისძიების:
✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, სოფელ დიღომში მდებარე N37 ბინის (მშენებარე) და ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N22 ბინის (მშენებარე) პირდაპირი

განკარგვის ფორმით მოქალაქე გრიგოლ ყიფიანისთვის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, პრივატიზების საკითხის, იმ საპრივატიზებო პირობით, რომ აღნიშნული მოქალაქე, უძრავი ქონების საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უსასყიდლოდ დათმობს საკუთრების უფლებას/მოთხოვნის უფლებას, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობაში არსებულ ფართზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქ. N5, კორპუს „ბ", I ბლოკი, მე-2 სართულზე 105.00 კვ.მ ბინა N4-ს და ასევე, უზრუნველყოფს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში.

მომხსენებლის მითითებით, მოქალაქე გრიგოლ ყიფიანმა თანხმობა განაცხადა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ შეთავაზებული ფართების მიღებაზე, ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/სსიპ- ქონების მართვის სააგენტოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი უძრავი ქონება და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, ხოლო, ზემოხსენებული პრინციპის გათვალისწინებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებით უძრავი ქონებები შეფასებულ იქნა შემდეგი სახით:

✓ 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, მოქალაქის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონების 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ხოლო, მთლიანი უძრავი ქონების 105.00 კვ.მ ბინის N4-ის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 409 815 (ოთხას ცხრა ათას რვაას თხუთმეტი) ლარის ოდენობით;

✓ იდენტური დაშვებით, 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით შეფასებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები და 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება: 89.7 კვ.მ. და 76.6 კვ.მ. ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა - 206 041 (ორას ექვსი ათას ორმოცდაერთი) ლარის და 189 968 (ას ოთხმოცდაცხრა ათს ცხრაას სამოცდარვა) ლარის ოდენობით (ჯამურად: 396 009 ლარი).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ გრიგოლ ყიფიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მისთვის საკუთრებაში გადასაცემი უძრავი ქონების ღირებულებას, თუმცა, მას განცხადების შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ფასებთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნია, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, ყოველივე ზემომითითებულის გათვალისწინებით, მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-15 საკითხებისა და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას შემდეგი ღონისძიების:

✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. N3/ვ. ნინუას ქ. N3-ში მდებარე N11 და N88 ბინების (მშენებარე) და ილია სუხიშვილის ქ. N45-ში მდებარე N50 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, შემდეგი მოქალაქეებისათვის: ანზორ ბალუაშვილი, ირმა ბალუაშვილი, ლიზი გაჩეჩილაძე, მანანა ფოცხიშვილი და ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხის, იმ საპრივატიზებო პირობით, რომ აღნიშნული პირები, მათ თანასაკუთრებაში, დაუსრულებელ შენობა-ნაგებობაში არსებულ უძრავ ქონებას, მდებარე: ქალაქი თბილისი, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ", II და III ბლოკი, მე-9 სართულზე, 122 კვ.მ ფართობის ბინა N41-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, უსასყიდლოდ დათმობენ საკუთრების უფლებას/მოთხოვნაზე უფლებას, ამასთან, უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის საკუთრებად უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით. ზემოაღნიშნულმა მოქალაქეებმა ზემოაღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოთქვეს თანხმობა, ამასთან, აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტისთვის დასათმობი უძრავი ქონება და სანაცვლოდ გადასაცემი ფართები შეფასებულიყო ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება, ხოლო, აღნიშნული კონდიციით, უძრავი ქონებები შეფასებულ იქნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შემდეგი სახით:

✓ 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, მოქალაქეთა საკუთრებაში, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონების 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ხოლო, მთლიანად 122 კვ.მ ბინის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 476 166 (ოთხას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაექვსი) ლარის ოდენობით;

✓ 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 76.6 კვ.მ, 76.6 კვ.მ. და 39.6 კვ.მ. ფართების საბაზრო ღირებულებები განისაზღვრა შესაბამისად - 189 968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის, 189 968 (ას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარის და 90 961 (ოთხმოცდაათი ათას ცხრაას სამოცდაერთი) ლარის ოდენობით (ჯამურად: 470 897 ლარი).

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს ძხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
17. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-16 საკითხებისა და ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას შემდეგი ღონისძიების:

✓ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში მდებარე N3 ბინის (მშენებარე) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მოქალაქე მაყვალა ბერიანიძისთვის, საპრივატიზებო საფასურით - 14981 (თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით პრივატიზების საკითხის, შემდეგი საპრივატიზებო პირობით:

- უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, ქონების შემძენი, დაუმთავრებელ შენობა - ნაგებობაში, მის საკუთრებაში არსებულ ფართზე, მდებარე: ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5, კორპუსი „ბ", II და III ბლოკი, პირველ სართულზე, 69.5 კვ.მ. ბინა N25-ზე (მშენებარე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, განაცხადებს უარს საკუთრების უფლებაზე/მოთხოვნის უფლებაზე და უზრუნველყოფს აღნიშნულის, მუნიციპალიტეტის საკუთრებად, საჯარო რეესტრში უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციას, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსად უკვე განხილული პროექტებისა, წარმოდგენილი პროექტით განსაზღვრული უძრავი ქონებები შეფასებულ იქნა ერთნაირი მახასიათებლების მქონე ობიექტებად არსებობის დაშვებით, როგორც დასრულებულ კორპუსში თეთრი კარკასის კონდიციის მქონე უძრავი ქონება და ისაუბრა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემულ შეფასებებზე:

- 2023 წლის 8 მაისის დასკვნით, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N5ბ-ში მდებარე უძრავ ქონებაში 1 კვ.მ. ფართის (საცხოვრებელი ბინის) საბაზრო ღირებულება, 2023 წლის 5 მაისის

მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3903 ლარის ოდენობით, ხოლო, ჯამურად, საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 271258.5 (ორას სამოცდათერთმეტი ათას ორას ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით;

- 2023 წლის 10 ივნისის დასკვნით, 2023 წლის 9 ივნისის მდგომარეობით. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართის საბაზრო ღირებულება განისაზღვრა შესაბამისად - 286239 (ორას ოთხმოცდაექვსი ათას ორას ოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ მოქალაქე მაყვალა ბერიანიძემ საკუთრებაში არსებული ფართის თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობის სანაცვლოდ ითხოვა ქ. თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ბ-ში რეგისტრირებული N3 ბინის პრივატიზება ამასთან, თანხმობა გამოთქვა გადაიხადოს ფართების ღირებულებებს შორის სხვაობა - 14 981 (თოთხმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი) ლარის ოდენობით.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შემუშავებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
18. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც სამართლებრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით ასევე იდენტურია დღის წესრიგის მე-10-17 საკითხების.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კომისიის წევრებს მიმართა წინადადებით და მიზანშეწონილად მიიჩნია, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18 საკითხის განხილვის გადადება, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი დეტალების დაზუსტების მიზნით.

არჩილ გორდულაძის რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა როგორც კომისიის წევრების ასევე საკითხის მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომის დღის წესრიგის მე-18 საკითხის განხილვის გადადებას.

მოისმინეს:

19. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4, 6 (ექვსი) მშენებარე საცხოვრებელი ბინის შემდეგი ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის, სიმბოლურ თანხად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პრივატიზების საკითხისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

1. მანანა შენგელიას გადაეცემა - 125.50 კვ,, ფართი, შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

2. გიორგი ბეროზაშვილს გადაცემა - 75.00 კვ.მ. ფართი, შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

3. ბესიკ და მაია ბლიაძეებს გადაეცემათ - 125.50 კვ.მ. ფართი; შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

4. თეონა ჭელიშვილს გადაცემა - 125.50 კვ.მ. ფართი; შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

5. დავით და გიორგი ჯოხაძეებს გადაცემათ - 105.50 კვ.მ. ფართი; შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

6. ლიანა კაცაძეს გადაეცემა - 78.50 კვ.მ. ფართი; შესაბამისი წილობრივი ოდენობის მიწის ნაკვეთით;

მომხსენებელმა ისაუბრა საკითხთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და ინტერესთა გამოხატვაში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ შპს „ჰორვატსს") შორის 2021 წლის 24 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით, კოოპერატივის წევრებმა, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ, სრულად განაცხადეს უარი მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე, ამასთან, დაამატა, რომ 2023 წლის მდგომარეობით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ამხანაგობა „ძოწს", შპს „ჰორვატს"-სა და კომპანიას - შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე" შორის 2023 წლის 24 თებერვალს გაფორმდა ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შეთანხმება, რითაც, შეიცვალა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ვადა და შპს „ჰორვატსი" სრულად ჩაანაცვლა შპს „თეთრი კვადრატი მინდელზე"-მ.

მომხსენებლის მითითებით, დასაკმაყოფილებელ პირებს შორის, გათვალისწინებული იყო, შემდეგი ჩამოთვლილი პირები, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი

განკარგულებების მომზადების დროისათვის, სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი დოკუმენტაცია, მათ შორის, სამკვიდრო მოწმობები (ზოგიერთი მათგანის გარდაცვალებიდან არ იყო გასული 6 თვე, რის გამოც, სამკვიდრო მოწმობა ვერ გაიცემოდა, ზოგ შემთხვევაში, კი, წარმოდგენილი სამკვიდრო მოწმობები არ იყო სრულყოფილი და საჭიროებდა დაზუსტებას), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სიმბოლურ ფასად პრივატიზებას დაქვემდებარებული საცხოვრებელი ფართების სააგენტოსთვის/მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა, აღნიშნული პირების მხრიდან სააგენტოში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში, საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით:

- საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი ლიზა ბრეგვაძე (გარდაიცვალა), საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით;

- N598 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი - ზურაბ კაცაძე, რომელმაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ვერ შეძლო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესაბამისად, პროცესის გაჭიანურების თავიდან არიდებისა და მხარეთა შორის ხელშეკრულების მაქსიმალურად მოკლე ვადაში გაფორმებისთვის, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ზურაბ კაცაძის მიერ მისაღები 78.64 კვ.მ. ფართი თეთრი კარკასის მდგომარეობით გადასცემოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს/სააგენტოს - შემდგომში მისთვის ან მისი უფლებამონაცვლე პირისთვის/პირებისთვის გადაცემის უზრუნველყოფის პირობით;

- N645 კოოპერატივის წევრთა ნაწილს (5 პირს) სააგენტოსთვის არ მოუმართავს, თუმცა მათ წინაშე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო საშინაო ვალის არსებობის ფაქტის აღიარების გამო, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ პროექტის ფარგლებში, აღნიშნული პირების მიერ მისაღები - 457.17 კვ. მ. - საცხოვრებელი ფართის შესაბამის ოდენობას, საკუთრებაში მიიღებდა სააგენტო/მუნიციპალიტეტი;

- N645 კოოპერატივის 3 წევრი - თენგიზ ბლიაძე, ნუგზარ ბულია და ტოგო ბეროზაშვილი.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, სამშენებლო პროექტის განმახორციელებელმა კომპანიამ, ზემოაღნიშნული პირებისთვის გადასაცემად განსაზღვრული ფართები, საკუთრებაში გადასცა სააგენტოს/მუნიციპალიტეტს, რაც დღეის მდგომარეობით შეადგენს 10 (ათი) ინდივიდუალურ ფართს, რომელთა ფართობი ჯამურად შეადგენს 967.21 კვ.მ-ს, ხოლო, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, 6 ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართზე გადაეცემათ ყოფილი N645 კოოპერატივის წევრ/მათ უფლებამონაცვლე ოთხ პირს, აგრეთვე, ყოფილი N641 კოოპერატივის ლიზა ბრეგვაძისა და ყოფილი N598 კოოპერატივის წევრის ზურაბ კაცაძის მემკვიდრე(ებ)მა, რომლებმაც, წარადგინეს სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში შესაბამისი დოკუმენტაცია და კანონით დადგენილი წესით შედგენილი ე.წ. თანხმობა მითითებული პროექტიდან მათთვის შეთავაზებულ, მშენებლობადასრულებულ გადასაცემ შესაბამის ფართებზე, აგრეთვე, პროექტით განსაზღვრულმა პირებმა აღნიშნული თანხმობით დაადასტურეს, რომ:

- მათ მიერ სრულად იქნება შესრულებული სათანადო ხელშეკრულებით და შეთანხმებით განსაზღვრული კოოპერატივის წევრების ვალდებულებები;
- გაეცნენ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კოოპერატივის წევრებს, სააგენტოსა და კომპანიას შორის გასაფორმებელი შეთანხმების პროექტს და თანახმა არიან, გააფორმონ შესაბამისი შეთანხმება, ხოლო, მათ მიმართ არსებული სახელმწიფო საშინაო ვალი ჩაითვლება სრულად დაფარულად და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არ აქვთ/არც მომავალში წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია/მოთხოვნის უფლება;
- ყოფილი კოოპერატივის წევრის ლიზა ბრეგვაძის მემკვიდრეები შეთანხმებაზე ხელმოწერით დაადასტურებენ, რომ მათ მიმართ საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა კალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება ჩაითვლება აღსრულებულად და აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არ აქვთ/არ წარმოეშობათ არანაირი პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით მომზადებულ იქნა წარმოდგენილი პროექტი და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარმოდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის მიმართ არსებული რეკომენდაციების შესახებ და მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საკითხის მოწონების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების მითითება, ასევე, პროექტის სათაურის, პირველი პუნქტის და შეთანხმების პროექტის შესაბამის ნაწილებში სტილისტურ-ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება.

აღნიშნული რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
20. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის განკარგულებაში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.

მომხსენებელის მითითებით, პროექტით გათვალისწინებული ცვლილება გულისხმობს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N42 განკარგულების დანართად განსაზღვრულ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას და ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას, შემდეგი სახით:

✓ ხსენებული ხელშეკრულების მე-2 მუხლში ემატება ქონების შემძენის ვალდებულება, რომ დემონტაჟის გაწხორციელების შემთხვევაში, დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, მაგრამ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, წერილობით მიმართოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს, ექსპერტიზის დასკვნის მომზადებით მოთხოვნით. ამასთან, ზუსტდება, რომ ამ ქვეპუნქტში აღნიშნულ მომრავი ქონების ფაქტობრივ ღირებულებაში იგულისხმება - ქონების საბაზრო ღირებულება. გარდა აღნიშნულისა, ცვლილების შემდგომ, ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის მომზადება და სააგენტოსთვის წარდგენის უზრუნველყოფა მოხდება ქონების შემძენის ხარჯით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთვის მიმართვიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში, მაგრამ დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს 7 თვისა.

✓ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ასევე ემატება მოწესრიგება, რაც შეეხება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული საპრივატიზებო პირობის მოხსნის პროცედურას, კერძოდ: აღნიშნული საპრივატიზებო პირობა მოიხსნება საპრივატიზებო პირობების სრულად შესრულების შემდეგ, სააგენტოსთვის ქონების შემძენის წერილობითი მიმართვისა და სააგენტოს მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების შესახებ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

✓ ცვლილებები შედის ხელშეკრულების მე-4 მუხლში, რომელიც შეეხება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლო შემთხვევას, რის შესაბამისადაც, სააგენტოს მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრივატიზების საგანი (ან/და მისი გამიჯვნის შედეგად, ან/და სხვა უძრავ ქონებასთან გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი უძრავი ქონება, ან/და ტერიტორიაზე შექმნილი დამოუკიდებელი უფლების ობიექტები) ბრუნდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მიექცევა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში), ხოლო ამ ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება უბრუნდება ქონების შემძენს დაბრუნების დროისათვის არსებულ მდგომარეობაში. ამასთან, ქონების შემძენს არ აუნაზღაურდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ან/და მისგან გამომდინარე მის მიერ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დემონტაჟის განხორციელების შემთხვევაში, ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე მდებარე შენობა-ნაგებობ(ებ)ისა ან/და მომრავი ქონების ღირებულებას, ასევე, დემონტაჟის ხარჯებს.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
21. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 21-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის" შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ შემდეგ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხზე:

- ✓ ქალაქ თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა N19-ში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობაში მცხოვრები 42 (ორმოცდაორი) მესაკუთრე პირი;
- ✓ ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში (პრივატიზებული ქონება) თვითნებურად მცხოვრები 2 (ორი) მოქალაქე;
- ✓ ქალაქ თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა N19-ში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობაში თვითნებურად მცხოვრები 23 (ოცდასამი) მოქალაქე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო საკითხთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020"-ს (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი", შემდგომში: მყიდველი) შორის 2021 წლის 29 აპრილს დადებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება, რიც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, საპრივატიზებო საფასურის განისაზღვრა 1 526 632 (ერთი მილიონ ხუთას ოცდაექვსი ათას ექვსას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია. აქვე დასძინა, რომ მითითებული ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, განისაზღვრა: ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები, ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე შენობა-ნაგებობებში (შემდგომში: მფლობელები), აქვე დაამატა, რომ მითითებულ პირებთან დაკავშირებით დაზუსტებული მონაცემები სააგენტოს მიერ მყიდველს უნდა წარედგენოდა დამატებით - შეთანხმების გაფორმებიდან (28.09.2023 წ.) 6 (ექვსი) თვის ვადაში - არაუგვიანეს 2024 წლის 28 მარტისა.

მომხსენებლის მითითებით, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით. ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული ზემოაღნიშნული პირების თაობაზე ინფორმაცია, მონაცემები და სათანადო დოკუმენტაცია, რომელთა მიხედვითაც, აღნიშნულმა მოქალაქეებმა თანხმობა გამოთქვეს:

- მესაკუთრე პირებმა - ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში, განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან ზემოაღნიშნული დანართით განსაზღვრულ სიაში მოცემული ფართობის ოდენობის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღების ან ალტერნატიული შესრულების მიღების სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ თმობენ მოთხოვნის უფლებას საკუთრებაში არსებულ ფართებზე, ან მიწის ნაკვეთზე არსებულ სხვა შესაძლოდ დაკავებულ ფართებზე;

- ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში თვითნებურად მცხოვრებმა პირებმა - ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში, განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან ზემოაღნიშნული დანართით განსაზღვრულ სიაში მოცემული ფართობის ოდენობის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღების ან ალტერნატიული შესრულების მიღების სანაცვლოდ, პოზიცია გამოხატეს, რომ უარს ამბობენ ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში მდებარე პრივატიზებული ფართების გადაცემასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის, სახელმწიფოს ან/და მათი შესაბამისი ორგანოების მიმართ ყოველგვარ მოთხოვნასა და დავაზე;

- ქალაქ თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა N19-ში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობაში თვითნებურად მცხოვრებმა პირებმა - ქალაქ თბილისში, კაპანაძის ქუჩა N4-ში, განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან ზემოაღნიშნული დანართით განსაზღვრულ სიაში მოცემული ფართობის ოდენობის საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში მიღების ან ალტერნატიული შესრულების მიღების სანაცვლოდ, თანხმობა გამოხატეს, რომ გაათავისუფლებენ პაატა სააკაძის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებულ ფართს და ასევე უარს იტყვიან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ფართების გადაცემასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის, სახელმწიფოს ან/და მათი შესაბამისი ორგანოების მიმართ ყოველგვარ მოთხოვნასა და დავაზე.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ იმ პირთა მიმართ, რომლებიც არ გააფორმებენ შესაბამის ხელშეკრულებას მყიდველთან ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან, ან/და არ შეასრულებენ შეთანხმებით გათვალისწინებული შესრულების (ქონების გადაცემა ან ალტერნატიული შესრულება) მიღების საპრივატიზებო პირობებს, განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიება გაუქმდება და შესაბამისი ქონების მიმღებად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი.

აზრი გამოთქვეს:
არჩილ გორდულაძემ ისაუბრა პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მითითების, ასევე, პროექტის სათაურისა და პირველი პუნქტის სტილისტური და ტექნიკური თვალსაზრისით რედაქტირების მიზანშეწონილობის რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:
22. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 22-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ფართის, მდებარე: ქალაქი თბილისი, გურამიშვილის გამზირი N15, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნულმა ფედერაციამ 2024 წლის 20 თებერვლის წერილით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა გურამიშვილის გამზ. N15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან წერილზე თანდართულ სართულებრივ გეგმაზე მონიშნული 600.9 კვ.მ. ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემა, 30 წლის ვადით, ძიუდოს სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, ინვესტიციის განხორციელების პირობით, ამავე წერილის თანახმად, ფედერაცია, ერთი წლის ვადაში უზრუნველყოფს არანაკლებ 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას, რომელიც მიმართული იქნება უზუფრუქტით გადაცემული ფართის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩასატარებლად და ფართში გათვალისწინებული სპორტული ობიექტის - ძიუდოს დარბაზის გამართვისთვის.

ირაკლი თავართქილაძემ დასძინა, რომ ზემოაღნიშნული 2449.77 კვ.მ. ფართი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით იყო გადაცემული შპს „თბილსერვის ჯგუფი"-სთვის, ხოლო, ამ უკანასკნელმა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილობითი პოზიციით, განაცხადა რომ არ არის წინააღმდეგი დაინტერესებაში არსებული 600.9 კვ.მ. ფართი გადაეცეს აღნიშნულ ფედერაციას, აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს სათანადო ბრძანებაში ცვლილება შევიდა და აღნიშნული იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობის მე-6 სართულზე მდებარე უზუფრუქტის საგანი განისაზღვრა ძიუდოს ფედერაციის დაინტერესებაში არსებული 600.9 კვ.მ. ფართის გარეშე.

მოხსენების მიწურულს, ირაკლი თავართქილაძემ ასევე აღნიშნა, რომ ძიუდოს სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, დაინტერესებაში არსებული ფართის ძიუდოს ფედერაციისთვის გადაცემის წინააღმდეგი ასევე არ არის ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ხოლო, ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული ფართის საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის უსასყიდლო

უზუფრუქტით გადაცემა, 30 წლის ვადით, ძიუდოს სპორტული ობიექტის მოწყობის მიზნით, ინვესტიციის განხორციელების პირობით და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ გორდულაძემ ისაუბრა, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართად განსაზღვრული „უზურფრუქტის პირობების" პროექტის პირველ პუნქტში აღნიშვნის მიზანშეწონილობის, აგრეთვე, ამავე ნაწილში, უსასყიდლო უზურუქტის ვადის მითითების რეკომენდაციებზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - „წინააღმდეგია დააფიქსირა უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით - 23-ე საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ის მიმდებარედ 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით ვაჟა აბრამიშვილისთვის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, განმეორებით იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით, განცხადებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიმართა მოქალაქე ვაჟა აბრამიშვილმა, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა N52-ში, პირველ სართულზე ბინა N4-ს.

ირაკლი თავართქილაძის მითითებით, აღნიშნული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, განმეორებით იჯარით გაცემასთან დაკავშირებით დადებითი პოზიცია გამოთქვეს სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა და სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, ვინაიდან, კიბის უჯრედის მიღმა ტროტუარის დარჩენილი სიგანე საკმარისია ქვეითთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის, ამასთან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 27 თებერვლის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 26 თებერვლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით, ხოლო,

ყოველივე მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ვაჟა აბრამიშვილისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე საკითხის, არსებული კიბის უჯრედის გამოყენების მიზნით, **5 წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასური - 432 (ოთხას ოცდათორმეტი) ლარის ოდენობით.**

გადაწყვიტეს:
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, პოზიცია - **„წინააღმდეგია** დააფიქსირა **უფრაქციო დეპუტატმა გიორგი ონიანმა.**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **არჩილ გორდულაძე**

სხდომის მდივანი **თამთა კაკოიშვილი**